MES 8 20 0001232003

25/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.12.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18: 35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (I)
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (II, III)
სხდომისმდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული**-სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის მდივანი;
6. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ირმა წერეთელი-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
12. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	თამარ აფრასიძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით კერესელიძე		აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	I

2.	ეკატერინე აზარაშვილი	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე	I
3.	მირზა ხინიკაძე		მედიცინის სკოლის დეკანი	I
4.	ხათუნა საგანელიძე		პროფესორი ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით	I
5	ლანა ბოკუჩავა		მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი	
6	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	II -III
7	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	II-III
8	**თეალაზარაშვილი**		ფინანსების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.	II
9	**მამუკათორია**		მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირმა მანჯავიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ანი ბილანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
5	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	15.07.2015 N58
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
11	განხორციელების ადგილი	**ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო**
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოსთავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ჯიქიამ განაცხადა, რომ 2020 წლის 17 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი ააიპ-ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში. აკრედიტაციის პროცესი მოიცავდა ონლაინ შეხვედრებს და აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტს მატერიალუ ტექნიკური ბაზის შეფასების მიზნით. სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან დაიწყო დღის წესრიგის შესაბამისად, 9:00 საათიდან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, უნივერსიტეტის რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია შეიქმნას ან დაიხვეწოს უნივერსიტეტში არსებული დისერტაციების გაფორმების ტექნიკური რეგლამენტი – ერთიანი სტილი (დისერტაციების სტრუქტურა, მოცულობა, გამოყენებული შრიფტი (იუნიკოდი), ბიბლიოგრაფიის საერთაშორისოდ დამკვიდრებული APA ან NLM ან Harvard სტანდარტები და სხვ.) და გაეცნოთ სტუდენტებს;
2. ჩამოყალიბდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
3. უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ენა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მედიცინის სადოქოტორო პროგრამაში კრედიტების ადეკვატური განაწილება;
5. უზრუნველყოფილ იქნეს ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკური შეფასების წესები, პროცედურების შემუშავება და განხორციელება;
6. სადოქტორო დისერტაციის შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან;
7. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში დეტალურად აისახოს კლინკურ დეპრტამანტებში აკადემიური პერსონალის არჩევის წესი და კრიტერიუმები მედიცინის დარგობრივი მახსიათებლის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს ასევე გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1.სასურველი იქნება მედიცინის სადოქტორო პროგრამაში არჩევითი საგნის ფორმატით, პროგრამაში დაემატოს პროფესიული ინგლისური ენის სილაბუსი;
2.მედიცინის სადოქტორო პროგრამაში სწავლა-სწავლების მეთოდები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
3. სასურველია, შემუშავდეს პერსონალის პირადი საქმის წარმოდგენის ერთიანი წესი და ფორმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმოიხილა უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკა, კერძოდ:

1. PCR ლაბორატორია;
2. სისხლის ბანკი;

3. ZEISS-ის ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებდა მოცემულ რეკომენდაციას. უნივერსიტეტის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი იყო 12 პუნქტიანი გაფორმების ტექნიკური რეგლამენტი, თუმცა მოხდებოდა მისი გადახედვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დახვეწა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მიმღები კომისიის მიერ ხდებოდა აპლიკანტის მიღება სადოქტორო დისერტაციის მომზადების პერიოდში, რომელიც მიმდინარეობდა მხოლოდ ბაზისური მედიცინის ფარგლებში. აღნიშნული არ მოიაზრებდა კლინიკური მიმართულებით კვლევის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მაგალითად, დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია არ გამორიცხავდა, რომ მან შეძლოს მედიცინის სფეროში უახლესი ფუნდამენტალური საბაზისო კვლევის განხორციელება. აპლიკანტის მიღება ხდება მისი ნაშრომის საფუძველზე, ომელიც ასოცირებული უნდა იყოს საბაზისო მეცნიერებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, აღნიშნა, რომ პროგრამა ამჟამად გადიოდა რეაკრედიტაციას. თავდაპირველად მისი აკრედიტაცია განხორციელდა, როგორც ორენოვანი პროგრამა და მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ახალ რეგულაციებამდე აღნიშნული შესაძლებელი იყო, თუმცა ცვლილებების შემდგომ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან კონსულტაციის შედეგად პროგრამის განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული. შესაბამისად, პროგრამა წარმოდგენილი იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამაში ასევე იყო ინგლისური ელემენტებიც, რაც კანონმდებლობით დასაშვები იყო, თუმცა დაწესებულება მუშაობდა იმაზე, რომ მომავალში ამოქმედდეს ,,მედიცინის“ სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამა.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი მიიღებოდა ბიოეთიკური დასკვნის საფუძველზე. თუმცა, აუცილებლად მოხდებოდა მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინება.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა აკადემიური ხარისხი და არჩეული იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით. დოქტორანტის ხელმძღვანელებს წარმოადგენენ მედიცინის დოქტორები, რომლებიც აგრეთვე წამყვანი პრაქტიკოსები იყვნენ.დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ 2020 წლის 30 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, სადოქტორო პროგრამების კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებაზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ. რაც გამოწვეული იყო უახლოეს წარსულში აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებით, უნივერსიტეტის ორ სხვა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთაც უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით ეცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, აკრედიტაციის საბჭოს და აკრედიტაციის ექსპერტებს.მან ასევე განმარტა, რომ მორატორიუმის გამოცხადება წარმოადგენდა პასუხს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე. დაწესებულება სრულიად იზიარებდა და ეთანხმებოდაექსპერტთა რეკომენდაციებს და მიიჩნევდა, რომ აღნიშნული მორატორიუმიც წარმოადგენდა პროგრამის განვითარების ერთ-ერთ საშუალებას. რაც შეეხება, კვლევით კომპონენტში კრედიტების მინიჭებას, დაწესებულების პოზიციის მიხედვით, სანამ არ გადაწყდებოდა საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან(შემდგომში - N3 ბრძანება) დაკავშირებით, გამოცხადებული იქნებოდა მორატორიუმი კრედიტების

მინიჭებაზე. რაც გულისხმობდა იმას, რომ თუ მანამდე კვლევით კომპონენტებში, როგორიცაა დისერტაციის ერთ-ერთი კვლევითი ნაწილი, რომელიც რეფერირებად ჟურნალში უნდა გამოქვეყნდეს, აღარ მოხდებოდა კრედიტების მინიჭება. აღნიშნული წესი გაუქმებული იყო აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, მორატორიუმი ძალაში დარჩებოდა, სანამ წესი იარსებებდა მე-3 ბრძანებაში და ასევე, სანამ საბჭო არ გააკეთებდა შესაბამის განმარტებას საკითხთან მიმართებით. რაც შეეხება უშუალოდ დისერტაციას, მისი შეფასება ხდებოდა ერთჯერადად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭო, თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, წარმოადგენდა ე.წ. კვაზი-სასამართლო იურიდიული ბუნების მატარებელ ორგანოს, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ადგენს და ანვითარებს კაუტელარულ პრაქტიკას, თავისებურად განმარტავს საჭირო ნორმებს და შესაბამის შინაარსობრივ-მატერიალურ მახასიათებელს ადგენს მისთვის. კაუტელარული იურისპრუდენციის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭო 2018 წლიდან მინისტრის ბრძანებას, უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან ერთად განმარტავს, რომელსაც ითვალისწინებენ როგორც ექსპერტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები. ყველა სადოქტორო პროგრამა, რომელიც აკრედიტაციის მიზნით შემოდიოდა საბჭოზე განსახილველად, იფილტრებოდა აღნიშნული განმარტების მიხედვით. საქართველოს განათლების სამინისტროში, ამ პერიოდის განმავლობაში არც ერთი უნივერსიტეტის ოფიციალური წერილი N3 ბრძანების გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ არ შესულა. აკრედიტაციის საბჭო პირველ რიგში ამოწმებს, ფორმალურ შესაბამისობას, ანუ ფორმალურად შეესაბამება თუ არა პროგრამა კანონმდებლობის მოთხოვნებს. ფორმალური შესაბამისობის კრიტერიუმების გავლის შემდეგ, საბჭო განიხილავს პროგრამის ე.წ. მატერიალურ-შინაარსობრივ საკითხებსა და მის ავკარგიანობას. გამომდინარე საბჭოს ფუნქციიდან და უმაღლესო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მისი განმავითარებელი საქმიანობიდან გამომდინარე სწორედ აკრედიტაციის საბჭოს, როგორც კოლეგიალური, სპეციალიზირებული ორგანოს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს საკითხი, რომელიც უკვე წლებია ბუნდოვანებას იწვევს საუნივერსიტეტო სივცრეში. უმჯობესია, მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისი ნორმა უფრო ნათლად იყოს ფორმულირებული, რაც მისი სხვაგვარი, განსაკუთრებით კი, ტელეოლოგიური რედუცირების შესაძლებლობას არ დააფუძნებს. აკრედიტაციის პროცესი და სააკრედიტაციო ნორმატივები ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, ამა თუ იმ დოკუმენტში შესაძლო განსახორციელებელი ცვლილება უფრო უკეთესად მოემსახურება ნორმის აღქმასა და ადრესატამდე დაყვანას. ეს კი გამორიცხავდა ფორმალურ გაუგებრობას საკითხისა, მითუმეტეს, როდესაც სხდომაზე აშკარად ვლინდება, რომ ამა თუ იმ პროგრამას შინაარსობირივი ხარვეზი არ აქვს ან ნაკლებად აქვს და მსგავსი პროგრამის არსებობა, პირიქით, წაადგება კიდეც ქვეყანაში საგანმანათლებლო ლანდშაფტს. შესაბამისად, ფორმალური ხარვეზის გადაწონვა ამა თუ იმ პროგრამის მატერიალურ-შინაარსობრივი პრობლემის არქონითა და მოთხოვნილი ხარისხის უზრუნველყოფით სავსებით უნდა იყოს შესაძლებელი. მითუმეტეს, რომ უნივერსიტეტი გამოთქვამს მზად ყოფნას შეაჩეროს მის პროგრამაში არსებული დათქმა (მორატორიუმის გამოცხადება ამას ადასტურებს). ეს უკანასკნელი დათქმულ დროს არის წარდგენილი ხარისხის განვითარების ცენტრში. ამ თვალსაზრისით შესაბამისობაშია ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილ ნორმებთან და პროცედურებთან. შესაბამისად, სტუდენტთა ინტერესი ამით ნიველირებული არ არის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განმარტა, რომ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, სტატიების გამოქვეყნება იყო სავალდებულო. თუმცა, მორატორიუმის ფარგლებში აღნიშნულ აქტივობაში აღარ გაიცემოდა კრედიტები. ამასთან, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში აღნიშნული აკრძალვა ყოვლად დაუშვებელი იყო. დაწესებულების წარმომადგენელი იზიარებდა საბჭოს განმარტებას და სწორედ აქედან

გამომდინარეობდა მორატორიუმის გამოცხადების გადაწყვეტილება. თუმცა, სანამ ზემოაღნიშნული დებულება მინისტრის მე-3 ბრძანებაში იქნება, მოცემული გადაწყვეტილება მორატორიუმის შესახებ ძალაში დარჩება. შესაბამისად, პროგრამისთვის ფორმალური ბარიერი არ არსებობდა. პროგრამის შინაარსი სრულიად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. დავით კერესელიძე მიიჩნევდა, რომ უმჯობესი იყო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნა, განსაკუთრებით კი სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და მედიცინაში. ამ ეტაპზე, როგორც აღინიშნა, სტატიების გამოქვეყნებისთვის კრედიტების მინიჭება შეწყდა, თუმცა N3 ბრძანებაში საკითხთან დაკავშირებული დებულების ცვლილების შემდეგ, კვლავ მოხდებოდა კრედიტების მინიჭება.
საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და დააზუსტა აკმაყოფილებდა თუ არა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამა წარმოდგენილი იყო რეაკრედიტაციის მიზნით. შესაბამისად, მას ჰყავდა სტუდენტები და კურსდამთავრებულები. საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის აზრით სადისერტაციო ნაშრომების ხარისხთან დაკავშირებთ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის სრულყოფილი შესწავლის შედეგი ასახა დასკვნაში და პროგრამაშეფასდა დადებითად, მიუხედავად მითითებებისა ტექნიკურდა პროგრამის გასაუმჯობესებლად აუცილებელ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამა დოქტორანტებს აძლევს საშუალებას, თავისუფალ გარემოში შექმნან სამეცნიერო ნაშრომი. დაწესებულება მუდმივად ზრუნავდა პროგრამების განვითარებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
17:30 საბჭოს სხდომა დატოვა მანანა კევლიშვილმა.
დაწყების დრო: 16:52
დასრულების დრო: 17:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 14

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია შეიქმნას ან დაიხვეწოს უნივერსიტეტში არსებული დისერტაციების გაფორმების ტექნიკური რეგლამენტი – ერთიანი სტილი (დისერტაციების სტრუქტურა, მოცულობა, გამოყენებული შრიფტი (იუნიკოდი), ბიბლიოგრაფიის საერთაშორისოდ დამკვიდრებული APA ან NLM ან Harvard სტანდარტები და სხვ.) და გაეცნოთ სტუდენტებს.
2. ჩამოყალიბდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეროვნული კვლიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად;
3. უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ენა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მედიცინის სადოქოტორო პროგრამაში კრედიტების ადეკვატური განაწილება.
5. უზრუნველყოფილ იქნეს ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკური შეფასების წესები, პროცედურების შემუშავება და განხორციელება.
6. სადოქტორო დისერტაციის შეფასების სისტემა მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან.
7. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულებაში დეტალურად აისახოს კლინკურ დეპრტამანტებში აკადემიური პერსონალის არჩევის წესი და კრიტერიუმები მედიცინის დარგობრივი მახსიათებლის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „მედიცინის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით და მონიტორინგით.

17:50 საბჭოს სხდომას შემოუერთდა მანანა კევლიშვილი.
17:52 საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბუდულმა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დიმიტრი გეგენავა.

2. მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
2		

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 25 ივლისის N86 7 წლის ვადით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფინანსები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü კი

თვითაცლება განაცხადა- ნიკოლოზ კიკნაძემ

საფუძველი- დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.მესამე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 11 ივლისის N74 7 წლის ვადით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინიტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
8		

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü კი
თვითაცლება განაცხადა- ნიკოლოზ კიკნაძემ
საფუძველი- დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ და მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამების მონიტორინგი განახორციელა აკრედიტაციის ექსპერტთა ერთმა ჯგუფმა პროგრამის შემოწმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ადგილზე ვიზიტის გარეშე.
„ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ 2018 წელს გაიარა აკრედიტაცია და საბჭომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაავალა განეხორციელებინა მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულების შემოწმების თაობაზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციები გატვალისწინებული იყო. მონიტორინგის ფარგლებში მხოლოდ სამი რეკომენდაცია გაიცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ:

1. კურსის შინაარსიდან და სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა“ რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს “მიკროეკონომიკის პრინციპები”-ს, ხოლო „მაკროეკონომიკა“ – „მაკროეკონომიკის პრინციპები“-ს სახელწოდებით;
2. რეკომენდებულია გაძლიერდეს Excel-ის სწავლება სასწავლო კურსში „ფინანსური ანალიზი და ბიუჯეტირება/პროგნოზირება“, რაც სტუდენტებს მეტად საჭირო კომპეტენციებს გამოუმუშავებს;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსში საბანკო-საფინანსო სექტორის PR-კომუნიკაციები“ (2006 წელი) ლიტერატურის განახლება.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დაწესებულებამ დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შესახებ წერილში აღნიშნა.

ანალოგიური ვითარება იყო „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. დაწესებილებამ სრულად გაითვალისწინა 2018 წლის აკრედიტაციის საბჭოს მიერ განზაზღვრული რეკომენდაციები. მიუხედავად ამისა მონიტორინგის პროცესში ექსპერტთა მიერ გაიცა ერთი რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია ,,ბიზნესის საფუძვლების“ სასწავლო კურსი მოიცავდეს იმ საკითხებს რომლებიც ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებს წარმოადგენს, მათ შორისაა მარკეტინგის და ფინანსების ფუნდამენტალური პრინციპები. აღნიშნული დეტალის გათვალისწინება საშუალებას მისცემს პროგრამის სტუდენტებს საფეხურებრივად, პრინციპით მარტივიდან-რთულისაკენ დაცვით მოახდინონ მათ შორის მარკეტინგის და ფინანსების საკითხების სიღრმისეულად შესწავლა.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დაწესებულებამ დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შესახებ წერილში აღნიშნა. საბოლოოდ, დაწესებულებამ სრულად გაითავლისწინა ყველა რეკომენდაცია ორივე პროგრამასთან მიმართებით, რაც განუსაზღვრა 2018 წლის აკრედიტაციის საბჭომ და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის პროცესის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა გედევანიშვილმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე „ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით. კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო კურსების განმახორციელებელ პროფესორთათვის მიუღებელი იყო კურსის სახელის ცვლილების მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, დაწესებულების მიერ მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალიწინება. კერძოდ, სასწავლო კურსებს „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა: „მიკროეკონომიკის პრინციპები“ და „მაკროეკონომიკის პრინციპები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ორივე სასწავლო კურსის სილაბუსი.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში დღეს მოქმედი ყველა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა 2 სასწავლო კურსი: „კომპიუტერული უნარები“, რომლის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ ელექტრონული ცხრილების (MsExcel) შესაძლებლობები და ცხრილური რედაქტორის (MsExcel) გამოყენება სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად და „ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, რომლის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტებმა შეძლონ ცხრილური პროცესორის (MsExcel) პრაქტიკული შესაძლებლობების სიღრმისეული შესწავლა; ცხრილური პროცესორის (MsExcel) ფუნქციების გამოყენება, ინფორმაციული მასივების ფორმირება და მათი ვიზუალურად წარმოდგენა სხვადასხვა ტიპის დიაგრამების აგების საფუძველზე; ნებისმიერი მოცულობის მონაცემების მასივების დალაგება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. რაც შეეხება აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგს, სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებმა იციან: ცხრილური პროცესორის ექსელის (MsExcel) ასეულობით ფუნქციის გამოყენება (ინფორმაციული, მათემატიკური, ტექსტური, სტატისტიკური, ფინანსური და სხვ.) შესაბამისი ამოცანის დასმისა და გამოთვლების ჩასატარებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდრე სტუდენტი VI სემესტრით გათვალისწინებულ სპეციალობის არჩევით კურსს, „ფინანსური ანალიზი და ბიუჯეტირება/პროგნოზირება“ აირჩევს, მას უკვე სიღრმისეულად აქვს ნასწავლი MsExcel. თუმცა, რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორის მიერ მოხდა სილაბუსით მისაღწევი შედეგების დაკონკრეტება. გარდა ამისა, სასწავლო კურსის შინაარსში პირველ და მეორე კვირას, სამუშაო ჯგუფში გათვალისწინებულია ფინანსური

ანგარიშგების მონაცემების MS Excel –ის მეშვეობით დამუშავების შესაძლებლობების გაცნობა, ხოლო დანარჩენი 9 კვირის განმავლობაში, სამუშაო ჯგუფში, სხვა აქტივობებთან ერთად გათვალისწინებულია ამოცანების ამოხსნა Excel-ის პროგრამის გამოყენებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთადერთი სასწავლო კურსი, რომელშიც არ მოხდა ლიტერატურის განახლება არის - „საბანკო-საფინანსო სექტორის PR- კომუნიკაციები“, რაც განპირობებულია იყო იმ მიზნით, რომ ლექტორის მიერ ძირითად ლიტერატურად განსაზღვრული იყო სამაგიდო წიგნები, ხოლო თანამედროვე ლიტერატურა სტუდენტებს ყოველკვირეულად მიეწოდებოდათ ე.წ „რიდერების“ სახით. თუმცა, ლიტერატურის ჩანაცვლება მაინც განხორციელდა, რათა პროგრამა შესაბამისობაში ყოფილიყო აკრედიტაციის სტანდარტებთან. ამის მიუხედავად დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაცია კვლავ არის მოცემული.
რაც შეეხება პირველ რჩევას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2018 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მარკეტინგული კვლევების ლაბორატორია, რომელიც ყველა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების, ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განმეორებით აკრედიტაციაზე წარდგენის წინ აუცილებლად ატარებს მარკეტინგულ კვლევას. აღნიშნული კვლევა საფუძვლად ედება არა მხოლოდ ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს, არამედ ხშირად საფუძველი ხდება მოქმედი პროგრამების მოდიფიცირებისა. ზუსტად ასეთი კვლევა ჩატარდა 2018 წელსაც, ვიდრე უნივერსიტეტი განმეორებით სააკრედიტაციოდ წარადგენდა მენეჯმენტისა და ფინანსების საბაკალავრო, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამებს. აღნიშნული კვლევა სახელწოდებით „ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევა“, პროგრამებთან და სილაბუსებთან ერთად, უნივერსიტეტის მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჯერ კიდევ 2018 წელს იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, 2018 წელს, უნივერსიტეტის მარკეტინგული კვლევების ლაბორატორიამ მოამზადა „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზიც“, რომელიც ასევე წარმოდგენილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციო დოკუმენტებთან ერთად. თუ კი მონიტორინგის მიმდინარეობისას, ექსპერტების მხრიდან იქნებოდა მოთხოვნა, უნივერსიტეტი უპრობლემოდ წარადგენდა მათ. ისე, რომ რჩევას იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებამ სასურველია ჩაატაროს დასაქმების ბაზრის სიღრმისეული კვლევა, უნივერსიტეტი არ იზიარებს.
რაც შეეხება მე-2 რჩევას, უნივერსიტეტი არ ელოდება 2023 წლის სექტემბერს, ანუ დროს, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულია ბიზნესის ადმინისტრირების სწავლის სფეროში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების ახალ კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოსაყვანად, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი, პროგრამით გათვალისწინებული ყველა საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის სწავლის შედეგი უკვე შესაბამისობაშია მოყვანილი კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების ახალ კლასიფიკატორთან. რაც შეეხება თავად პროგრამას და დანარჩენ სასწავლო კურსებს, უნივერსიტეტს ამ პროცესის დასრულება დაგეგმილი აქვს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე.
მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-3 რჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მათემატიკა ჩაბარებული არ ქონდათ, რეკომენდაცია ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში „პრეკალკულუსის“ დამატებასთან დაკავშირებით, 2018 წელს, პროგრამის განმეორებითი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის ექსპერტების მხრიდან მივიღეთ, რის საპასუხოდაც, მაშინვე შემუშავდა აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი და წარდგენილ იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. თუმცა, დღეს ეს რჩევა უკვე ლოგიკას მოკლებულია, ვინაიდან, 2019-2020 სასწავლო წლიდან მოყოლებული, ფინანსების საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი

აბიტურიენტისთვის მათემატიკის ჩაბარება სავალდებულო გახდა. ისე, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ვეღარ ხვდება აბიტურიენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდას არ ჩააბარებს მათემატიკაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე-6 რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტერმინი ,,თეორლუსი", ვერც ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში და ვერცერთ სილაბუსში, რომელშიც რაიმე ფორმით მაინც ნახსენებია სასწავლო კურსი „კალკულუსი", მათ მიერ ვერ იქნა ნაპოვნი. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა ექსპერტებს, ზუსტად მიუთითონ გვერდი სადაც სასწავლო კურსი „კალკულუსი" მოიხსენიება როგორც „თეორლუსი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ გარკვეული უზუსტობით იყო გამოწვეული ეს რჩევა და დაწესებულების წარმომადგენელს ბოდიში მოუხადეს, ტექნიკური შეცდომის გამო.
„მენეჯმენტის" პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო კურსებად ისწავლება „მარკეტინგის საფუძვლები" და „ფინანსების თეორია", რომელთა სილაბუსების მიხედვით პირველივე თავებშია განხილული ისეთი ძირითადი, ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა: რა არის მარკეტინგი, რა ძირითად კონცეფციებს ემყარება მარკეტინგი, რას მოიცავს მარკეტინგული პროცესი, ფინანსების რაობა, არსი, მნიშვნელობა, ფუნქციები და სხვა, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესორის მიერ გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული რეკომენდაცია და „ბიზნესის საფუძვლების" სასწავლო კურსის თემატიკას, მარკეტინგისა და ფინანსების სწავლის სფეროდან დაემატა ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს არა მარტო „ბიზნესის საფუძვლების", არამედ, შემდგომ სემესტრებში „მარკეტინგის საფუძვლებისა" და „ფინანსების თეორიის" სრულფასოვნად შესწავლას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პირველ რჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ უნივერსიტეტი არ ელოდება 2023 წლის სექტემბერს, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულია ბიზნესის ადმინისტრირების სწავლის სფეროში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების ახალ კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოსაყვანად, იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი, პროგრამით გათვალისწინებული ყველა საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის სწავლის შედეგი უკვე შესაბამისობაშია მოყვანილი კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების ახალ კლასიფიკატორთან. რაც შეეხება თავად პროგრამას და დანარჩენ სასწავლო კურსებს, უნივერსიტეტს ამ პროცესის დასრულება დაგეგმილი აქვს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ საბჭოს პრაქტიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს სრული თავისუფლება აქვს სასწავლო კურსებისთვის სახელების შერჩევის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საგნის სახელწოდება და შინაარსი ფუნდამენტალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. რაც შეეხება Exel-ს მნიშვნელოვანი იყო, რომ „ფინანსების" პროგრამისთვის აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა ისწავლებოდეს უფრო საფუძვლიანად და ღრმად ვიდრე სხვა რომელიმე პროგრამაზე, მაგალითად, ჰუმანიტარულ მიმართულებებზე. ცალსახაა, რომ ჟურნალისტსა და ფინანსისტს Exel-ს ცოდნის სხვადასხვა დონე მოეთხოვება. გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსების მიხედვით, ცოტა დრო ეთმობოდა ბიზნესების შეფასებას. ობლიგაციებთან ერთად საყურადღებო იყო ასევე ფასიანი ქაღალდები საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაითვალიწინებდნენ მის რჩევას. რაც შეეხება Exel-ს სწავლებას, პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდებოდა ახალი სასწავლო კურსი, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა მხოლოდ ფინანსების პროგრამის სტუდენტებისთვის.
ექსპერტმა რუსუდან სეთურიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სწავლების პირველ სემესტრში ისწავლებოდა კომპიუტერული უნარები, სადაც, მოცემულია Exel-ს საკმაოდ უმნიშვნელო საკითხები, ხოლო შემდეგ წარმოდგენილია არჩევითი საგნის სახით, რაც შესაძლებელია სტუდენტმა არ აირჩიოს და შესაბამისად, ვერ მოხდეს პროგრამის შედეგებზე გასვლა.
სასწავლო კურსების სახელწოდებებთან დაკავშრებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საგნის სახელწოდება და შინაარსი შესაბამისობაში მოდიოდეს ერთმანეთთან.
მოცემულ საკითხთან მიმართებით, სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთის მხრივ უნივერსიტეტს აქვს დისკრეცია თავად აირჩიოს სასწავლო კურსის დასახელება, თუმცა გასათვალისწინებელია სახელწოდების, კურსის შინაარსისა და მიზნის ერთმანეთთან შესაბამისობა.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ოქმის მიხედვით სახეზე იყო რეკომენდაცია მოლაპარაკების წარმოების საგნის შესახებ, თუმცა აღნიშნულ მოცემულ დასკვნაში არ არის განსაზღვრული, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, ამოღებული იქნა თუ არა აღნიშნული საგანი კურიკულუმიდან. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანი ამოღებული იქნა პროგრამიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:25
დასრულების დრო: 18:31

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა